

# საქართველოს ღვინის დასახელებების დაცვა: რომელია უპირველესი გზა?

საქართველო, თბილისი, სასტუმრო შერატონ-მეტეხი, 1 დეკემბერი 2006წ.

---

## სემინარის დასკვნები

### *სემინარის მიზანი*

2005 წლის 1 დეკემბერს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარდა სემინარი, სახელწოდებით – „საქართველოს ღვინის დასახელებების დაცვა“. სემინარი წარმოადგენდა ერთ-ერთ ეტაპს საქართველოს მთავრობისა და მეღვინეობის კერძო სექტორის სექტორის მონაწილეობით მიმდინარე პოლიტიკური დიალოგისა, რომლის მთავარი მიზანია დარგის განვითარებისათვის საჭირო ეფექტური პოლიტიკის შემუშავება. FAO-ს სემინარი და სხვა მასთან დაკავშირებული საქმიანობა განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და კანადის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით. სემინარის მთავარი ამოცანა იყო კონსენსუსის მიღწევა რამდენიმე კონკრეტულ იურიდიულ და ინსტიტუციურ ასპექტზე საქართველოს ღვინის დასახელებების დაცვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

სემინარს ესწრებოდა დაახლოებით 50 წარმომადგენელი ქვეყნის მეღვინეობის სექტორიდან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. სემინარის დღის განრიგი და მონაწილეთა სია ხელმისაწვდომი იყო სემინარის მსვლელობისას. FAO-მ განსახილველად წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც მომზადდა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ და რომელშიც ასახული იყო სექტორის წარმომადგენელთა ფართო სპექტრის მოსაზრებებიც. სემინარის მონაწილეებმა იმსჯელეს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის იურიდიულ და ინსტიტუციურ ასპექტებზე და, აგრეთვე, საფრანგეთისა და ავსტრალიის მაგალითებზე განიხილეს ის ღონისძიებები, რომლებსაც აღნიშნული ქვეყნები მიმართავენ მათი ღვინის დასახელებების დაცვაში არსებული მსგავსი პრობლემების დასაძლევად.

### *ინსტიტუციური სისტემის გაუმჯობესება*

ინსტიტუციური მოწყობის საკითხი იყო სემინარის ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის („ღვინის სექტორის ინსტიტუციური სტრუქტურის განვითარების გზები და საშუალებები“) დისკუსიის საგანი.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოში არსებული ინსტიტუციები არ არის საკმარისი საქართველოს ღვინის დასახელებების დაცვისა და ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ერთი მხრივ, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი “სამტრესტი”, რომელიც წარმოადგენს მთავრობის ძირითად მარეგულირებელ ორგანოს, საჭიროებს მეტ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს, რათა ეფექტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. მეორე მხრივ, კერძო მეწარმეებს, რომლებსაც უფრო მეტი ფინანსური და ორგანიზაციული შესაძლებლობები გააჩნიათ, არ შეუძლიათ ინდივიდუალურად მიიღონ შესაბამისი ლეგალური ზომები ღვინის ფალსიფიკაციისა და საქართველოს ღვინის დასახელებების არაკანონიერი მომხმარებლის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასევე აღინიშნა, რომ გაჩნდა ტენდენცია ღვინის დიდი საწარმოების გაერთიანებისა ასოციაციებში თავიანთი ინტერესების უკეთ დასაცავად. თუმცა, სემინარის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერი ინსტიტუციური მოდელის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია აქტიური მონაწილეობა ორივე მხრიდან – სახელმწიფოსი, როგორც დასახელებების მთავარი დამცველისა და მეთვალყურესი და კერძო სექტორის, თავისი ტექნიკური და საბაზრო ექსპერტიზით და ფინანსური რესურსებით.

ცხადია, რომ ნებისმიერი ინტიტუტის სტრუქტურის შექმნისას და მისი დაფინანსების საშუალებების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არსებული ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა. ამ ეტაპზე, საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულწილად ზღუდავს კერძო მეწარმეთა მხრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებას. ერთ-ერთი გამოსავალი არსებულ სიტუაციაში შეიძლება იყოს “სამტრესტისაგან” დამოუკიდებელი კერძო სტრუქტურის შექმნა. ეს სტრუქტურა შეიძლება აეღო თავის თავზე ის ზოგიერთი ფუნქცია, რომლებსაც ვერ ახორციელებს “სამტრესტი” - მაგალითად, საქართველოს ღვინის დასახელებათა მარკეტინგი და ბრძოლა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. ასეთი სტრუქტურა, რომელიც შეიძლება დაფინანსდეს სახელმწიფო და კერძო ფონდებიდან, იმართება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისაგან შემდგარი დამოუკიდებელი საბჭოს მიერ. საერთაშორისო ლეგალური ქმედებების ინიცირების უფლება შეიძლება მიენიჭოს ამ საბჭოს. ამ ახალი სტრუქტურის იურიდიული ფორმა და მისი დაფინანსების მექანიზმი საჭიროებს შემდგომ განხილვას.

ზემოთაღნიშნული მრგვალი მაგიდის დასასრულს მონაწილეებმა საჭიროდ მიიჩნიეს დისკუსიის გაგრძელება ამ საკითხზე და გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ სამუშაო ჯგუფში, რომელიც შეიმუშავებდა შესაბამის წინადადებას. ასეთ სამუშაო ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ მთავრობის წარმომადგენლები (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი “სამტრესტი”), კერძო მეწარმეები (ქართველ მეღვინეთა არსებული ასოციაციების წარმომადგენლების ჩათვლით), მევენახეები და საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის წარმომადგენლები. **FAO/EBRD** –ის ტექნიკური დახმარებით, სამუშაო ჯგუფის საქმიანობა ფოკუსირებული იქნება შემდეგ საკითხებზე: ა) ახალი სტრუქტურის იურიდიული ფორმა საქართველოს

კანონმდებლობის გათვალისწინებით; ბ) ახალი სტრუქტურის მთავარი ფუნქციების განსაზღვრა; გ) დაფინანსების მექანიზმის განსაზღვრა; დ) ახალ სტრუქტურაში მეღვინეობის სექტორის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა; ე) ახალი სტრუქტურის იურიდიული შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა მოხდეს საბჭოს მიერ საქართველოს სახელთ საერთაშორისო ლეგალური ზომების მიღება ღვინის დასახელებების დაცვის მიზნით.

სემინარის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს FAO/EBRD-ს პროექტის მომდევნო ფაზის შემდეგ სამუშაო გეგმას:

1. სამუშაო ჯგუფის დაარსების ფორმალური მხარის მოგვარება და მისი სამუშაო გეგმის შედგენა;
2. მიზნობრივი სასწავლო ტურების მოწყობა მეღვინეობის უძველესი და/ან ახალი ტრადიციების ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი სტრუქტურა;
3. ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში არსებული ინსტიტუციური მოწყობის ამსახველი ცნობარის მომზადება.

### ***საერთაშორისო იურიდიული ზომები და მოკლევადიანი ქმედებები***

მეორე მრგვალი მაგიდის (“როგორ განმტკიცდეს საქართველოს ღვინის დასახელებების დაცვა საერთაშორისო ბაზარზე”) მონაწილეებმა განიხილეს შესაძლო მოკლევადიანი იურიდიული ზომები საქართველოს ღვინის დასახელებათა არაკანონიერი გამოყენების წინააღმდეგ სამრძოლველად საზღვარგარეთ.

მსგავსად პირველი მრგვალი მაგიდის მონაწილეებისა, მათაც გაიზიარეს აზრი, რომ მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის არის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი. სავარაუდოდ, ასეთი თანამშრომლობა უნდა შედგეს ზემოთხსენებული ახალი სტრუქტურის ფარგლებში. თუმცა ასეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებას გარკვეული დრო დაჭირდება. შესაბამისად, იმავდროულად შესაძლებელია რამდენიმე სხვა იურიდიულ ზომათა გატარების შესაძლებლობის განხილვაც. მონაწილეები შეთანხმდნენ შემდეგ მოკლევადიან იურიდიულ ზომებზე FAO/EBRD-ის პროექტის მომდევნო ფაზის ფარგლებში:

1. საცდელი სასამართლო საქმის იდენტიფიცირება და განხორციელება საქართველოს ღვინის დასახელებათა არაკანონიერ მომხმარებელთა წინააღმდეგ ერთ კონკრეტულ ქვეყანაში (ლატვია, ბულგარეთი, უკრაინა);
2. უკრაინასთან ორმხრივი მოლაპარაკებების დასრულება; ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოება საქართველოს ღვინის დასახელებების დაცვის მიზნით;
3. ხარჯებისა და უპირატესობების შეფასება და, თუ საჭიროდ ჩაითვლება, მადრიდის შეთანხმებასთან მიერთება;

4. საინფორმაციო ბუკეტის მომზადება მეღვინეობის სექტორის მონაწილეთა ეროვნული თუ საერთაშორისო კანონებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების უკეთ გაცნობიერების მიზნით. აღნიშნული ამოცანის შესრულება სასურველია მოხდეს “სამტრესტისა” და “საქპატენტის” ერთობლივი ძალისხმევით;
5. საქართველოს კანონის “ვაზისა და ღვინის შესახებ” გადახედვა, რათა იგი: ა) გახდეს უფრო ეფექტური ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში; ბ) სრულ შესაბამისობაში მოდიოდეს ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ტექნიკურ და ღვინის ხარისხის სტანდარტებთან;
6. ღვინის წარმოებისა და გადამუშავების მონიტორინგისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაუმჯობესება.

FAO/EBRD თავის წვლილს შეიტანს ზემოთაღნიშნული ქმედებების განხორციელებაში ტექნიკური დახმარების, სემინარებისა და სასწავლო ტურების სახით.

### **დასკვნები და შემდეგი ნაბიჯები**

სემინარის დასკვნები განხილულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, რომელმაც FAO-ს გენერალური დირექტორის თანაშემწის სახელზე გაგზავნილი წერილით გამოხატა თავისი საერთო მხარდაჭერა. სემინარის მონაწილეთა თანხმობითა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მხარდაჭერით, FAO/EBRD-ს ჯგუფი მოამზადებს ზემოთაღნიშნული დონისძიებების დეტალურ აღწერას, სადაც მითითებული იქნება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, დაფინანსების წყაროები და განხორციელების გზები და საშუალებები. ამ დეტალური სამოქმედო გეგმის განხილვა მოხდება მის განხორციელებაში ჩართულ ყველა პოტენციურ პარტნიორთან ერთად “სამტრესტის”, ღვინის მწარმოებელთა ასოციაციისა და, აგრეთვე, დაინტერესებულ დონორთა წარმომადგენლების ჩათვლით. ეს განხილვა მოეწეობა FAO/EBRD-ს ჯგუფის თბილისში ვიზიტისას, რომელიც ნავარაუდევია 2006 წლის თებერვალში. იმავედროულად, ჩამოყალიბდება ინსტიტუციურ რეფორმაზე მომუშავე ჯგუფი.